



№ 24 (1370) დეკემბერი 1971

**სიქსუ** **ს**

გამოცემის 48-ე წელი უბნი 20 კპპ.

— ვაზა, საქართველოში გამანაწილეს!  
— ნებავ, რა უხარია, სმით მოკლავენ!

# წელი ახალი!

ეს გაუმარჯოს შენი არსების  
დაბადებას და ამოძრავებას,  
კოსმოსურ ფრთებით, თეთრი ფიფქებით.  
ქართული ციდან ჩამოგრძნობას!..

და საწიგომ ღუზის ჩაწვებას  
ჩვენი ცხოვრების დიდებულ ზღვაში,  
ალფრთოვანებას და ალტაცებას  
ახალმოგილი გვითა და გავფიქრით!

წელი! — გბრისათვის შეწყვიტავ სუნთქვის.  
და მოყვრისათვის — სუნთქვის დაწყებას! —  
გვიმარადისა ყოველი წუთი,  
გვიმრავლე გვილთა აკვნის დარწმუნა!

სანთლად აენთე სიმაღლეს ქართულს —  
საკაცობრიო სიმაღლეს მარადს!  
ახალი წელი, რამდენი გმართებს,  
დაგმარჯება რამდენი ძალა!..

რამდენი გვმართებს თვითნებ ქართულს,  
მამული ჩვენთან რამდენს ელის:  
სიტყვა უთქმელი არ უნდა დაგვრჩეს,  
მიწა — მოუვლელ-დაუთესელი,

განუახლები — დაბა-სოფელი,  
ჩამქრალი კერა — აუთეიბელი,  
მტრის გული — ლახვარდაუსობელი,  
ტკივილი — წამალდაუდებელი!..


გადაუბდები — შურის უღელი,  
მიტოვებული — წმინდა საფლავი,  
დანაშაული — აღმოუფხვრელი,  
დადაფვნის ღირსი — დაუდაფნავი!

ეს გაუმარჯოს დიდ აღმოჩენას  
და გაუკაცურად გაბანილ ლელოს!  
შენს მოგრძნობას, ჩვენთან დარჩენას  
და მერე წასვლას, ახალი წელი!

ჯანსაღი აოლქმავი




— მეს ისე მისტუმრებთ, ერთხელ არ ჩამახედეთ ხომ, რა  
ამ ყუთებში, წლოვით რომ გიწყვიტათ ეზოში?!



— მოგილოცავ, ძეგო, ახალ წელს!  
— შენი არაფერი არ მჯერა!



— შენ რაღაც თოვლის გავუსს არ გავხარ, სად მიგაქვს  
ამდენი უფაქტურო საქონელი?!



# განსხალება

**კატივცემული**  
მკითხველო! „ნიან-გის“ რედაქციამ გადაწყვიტა, 1972 წლიდან დაიწყოს ქართული სატირულ-იუმორისტული ფოლკლორის შეკრება.

სატირა და იუმორი ერის სიჯანსაღე, ინტელექტი, ტალანტი, რითაც განსაკუთრებით გამოირჩევა ქართველი ხალხი. ჩვენს ქალაქებსა და სოფლებში ცხოვრობენ ადამიანები, რომელთა ენამოსწრებულობაზე, გონებამახვილობაზე ლეგენდები დადის. მათ მიერ შექმნილი შესანიშნავი სატირულ-იუმორისტული ნიმუშები იკარგება და დავიწყებას ეძლევა.

ვთხოვთ ჯანსაღი სიცილის მოყვარულ ყველა ჩვენს თანამემამულეს, დაგვეხმაროს ამ საშვილიშვილო საქმეში, ძველი და ახალი ზეპირი ხალხური იუმორის შეკრებაში.

ძვირფასო მეგობრებო! მოგვწერეთ იმათ შესახებ, ვის ნათქვამსაც აღტაცებაში მოუყვანიხართ, ვისაც პირადად იცნობთ ან ვიზელაც ნაცნობ-მეგობრებისაგან გაგიგონი-

ათ. შეგვაცხოზინეთ მათი მისამართები! იშვიათი ნიჭით დაჯილდოებული ბევრი

ადამიანი ჩვენს გვერდით ცხოვრობს, ჩვენს წრეშია, გულუხვად აბნევს ზეპირი იუმორის იშვიათ მარგალიტებს.

ჩვენ სწორედ ამ მარგალიტების მაძიებელნი ვართ. შესაძლოა, ნიჭიერი ხალხური მთქმელებიდან ზოგიერთი ცოცხალიც აღარ იყოს, მათი გამონათქვამები კი ცოცხლობენ, ჩვენს ყურადღებას ელიან.

გავიხსენოთ ისინი და ხალხური იუმორი ხალხის კუთვნილებად ვაქციოთ!

წერილები მოგვწერეთ შემდეგი მისამართით: თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, №42, ქუჩის ალ „ნიანგის“ რედაქცია, „ხალხური იუმორისათვის“.

ენიანი

## ზეპანი

— ახალი წელი ცხვირწინაა, ბიჭო ვანიჩკა! — შესაძნა თავის თავს სოფელ მერიის მცხოვრებმა ივანე კონსტანტინეს ძე ბაჭელიძემ, — დღეს 31 დეკემბერია, ფულის შოვნაა საქირო. ფრთხილად, ბიჭო! ხომ გახსოვს, რამდენჯერაც ბნელი საქმისკენ წავიღებ ხელი, იმდენჯერ ციხეში გვიკრეს თავი. ორმა თუ იცის, ღორბაც იცის. იმ ღორს ქე დაკლავ ამ კალანდას, მარა ბნელ საქმეში დოსტი არაა მაინც საქირო. კაცი ბუნებამ შექმნა და ჩვენც ბუნების წიაღში შეგვიძლია ვიშოვნოთ ფარა!

ვანომ მერიის თვალწარმტაც შემოგარენს მოავლო მზერა. მერე ცალი თვალი ბოროტად მოქუტა და ორეულთან საუბარი განაგრძო:

— ტანაშოლიტონ ნაძვის ხეებს ხომ ხედავ? მერე და, რას გაშტერებულხარ? ფასდაუდებელი განძი არ არის იგი ახალწლის წინა დღეს? ჰოდა, ცულის მოვიტან ცუნცულასა, ხელჩოხსა, წალღუნასა, ხესაც მოვჭრი, ხის ძირსაც... ჩვენც შეგვჭამთ და... ზოგიერთი კაცი კია ხე, მაგრამ არც ერთი ხე კაცი არ არის, რომ იყვიროს.

ვანომ პირბასრი ნაჯახი მხარზე გაიღო და ტყეს მიაშურა.

— ბიჭო!.. — კვლავ გამოელაპარაკა შინიდან ვანო ვანოს, — ნუ წაიწყებდ სულს, ჩვენს სოფელში მაინც ნუ იზამ ამ საჯაყ საქმეს, ცოტა იქით გავიწიოთ. თუნდაც, ლითურს ვეწიოთ.

ივანეს გული აუჩუყდა. ესე იგი „დათობაზე“ წავილა.

გამოჩნდა ლითურის ჩაის საბჭოთა მეურნეობა-ტექნიკუმის ქარსაფარი ზოლი.

— ეს აკრძალული ზონა კია, მაგრამ აქ ამკრძალავი არავინ ჩანს, — ჩაიხიბითხია ვანომ, — რა ნაძვის ხეებია. ბიჭო! ოცდათხუთმეტ წელზე ნაკლები ხნის არც ერთი არ იქნება.

ვანომ ნაჯახი შემართა და გამეტებით შემოპკრა ხეს.

— ესეც ასე... აუ, რა ხეა! საახალწლო ზიზილ-პიბილებით მორთვა-მოკაზმვა აღარც კი დასჭირდება. მარტო უნდა დადგე და უყურო. აბა, წამოწეპით ასე, ტყის დედოფლებო!

უზრუნველად როხროხებდა ვანო და თან ხეს უხათქუნებდა პირგალესილ ნაჯახს. ორიოდ საათის შემდეგ ძირს 12 მოკვეთილი ნაძვის ხე ეგდო. „ხის მკვლელმა“ შუბლზე ოფლი მოიწმინდა და რიგით მეცამეტე ხეს მიეყრდნო

— ფუი ეშმაკს! — უცებ ელდანაკრავივით მორდა იგი ხეს, — 13 თარსი რიცხვია... იქნებ შევეშვა... მით უფრო, თუ თარსია, მაგას დავათარსიებ თავს? — მიიღო გადაწყვეტილება და კვლავ გამეტებულად მოიქნია ნაჯახი... მოიქნია და, ბოროტი ხელი პაერში შერჩა...

ანაზღად დაბურთულ ტევრს რამდენიმე ადამიანის ჩრდილი გამოეყო და ვანოსაკენ გამოემართა. ვანომ არც აცნია, არც აცხელა, მეცამეტე ხის ფესვებზე შეხტა და გაშეშდა.

— ვინ ხარ შენ?! — გაისმა ვანოსხეული ადამიანების ხმა.

გალურსულმა ვანომ პასუხი არ გასცა.

— რატომ ხმას არ იღებ, თუ ადამიანი ხარ?!

— ხე ვარ, ხე... — ამოილულულა შიშით გავხეებულმა ივანემ

— შენს ცხოვრებაში ამაზე სწორი არაფერი გითქვამს, ივანე ბაჭელიძე! მართლაც ხე ხარ, ქვა ხარ, რკინა ხარ, კაცი ამას ვერ იზამდა! ბუნების მეგობრებმა სვეციი ახლა თავად მოჰკვეთეს საზოგადოებას... წლინახევრით!

გაიოჯ სავერსაშვილი

## ნაბურღილი ბატაყა

თოვლი ნელა ეფინებოდა მინას. ლამაიონების შუქი მკრთალად ანათებდა დაბურულსკვერს. იგი შენობის ჩრდილში იდგა, ტყავის პალტო ეცვა და ბეწვის თბილი ქუდი ეხურა. გარშემო კაცის ჭაჭანება არ იყო. მხოლოდ სკვერის შესასვლელთან ავტონისპექტორი ჩაცუცქულიყო და

მოტოციკლს უკირკიტებდა. „რალა აქ გაუფუჭდა!“ — გაიფიქრა ტყავის პალტოიანმა მამაკაცმა და საათს დახედა. თერთმეტის ათი წუთი იყო. პალტოში ხელი შეიყო. ცივი ლითონის შეხებისას ტანში გააურყოლა. ამ დროს ავტონისპექტორმა, როგორც იქნა, დაქოქა მოტოციკლეტი და თუხთუხით გაუყენა გზას. ტყავის პალტოიანმა შვებით ამოისუნთქა. კატასავით უხმაუროდ გამოვიდა სამალავიდან და სკვერის ბოლოსკენ წავიდა.

აი, ისიც! იდგა ამაყი, მშვიდი და მტკვარს გადაჭურებდა. „სულ ახალგაზრდაა!“ — გაიფიქრა ტყავისპალტოიანმა და ერთი წუთით სიბრალულმა გაუიღვა გულში, მაგრამ მაშინვე უკუაგლო ეს გრძნობა და ქამრიდან მოკლეთარიანი სანადირო ცული იძრო. მიიხედ-მოიხედა, ვეფხვისებური ნახტომი გააქეთა და ცულის ერთი დარტყმით მსხვერპლი ძირს დასცა. „სუფთა ნამუშევარია!“ — გაიფიქრა, მერე დაიხარა, ხელები ჩას-

ქიდა და სანადიროზე მდგომი „მოსკვირისაკენ“ წაათრია.

„ვერ ვიტან სინთეტურ ნაძვისხეს, რა სჯობია ნატურალურს!“ — გაიფიქრა მან და მოჭრილი ნაძვი მანქანაში შეაგდო.

...მეორე დღეს გაზეთში წავიკითხე მშრალი ცნობა: „ბოროტმოქმედი მალე წარსდგება სასამართლოს წინაშე“.

თამაჯ თაველორაძე



— გახსოვდეთ, გავშვებო, რომ საჩუქარს პიბილი არ გავნიჯება!  
— დედიკო, ამ გაბუას თვითონ რომ არა გავს პიბილები, იმიტომ აგბობს ახე?

— ამ ნაქვის ხისთვის მთელი ქალაქი მიწის ქვეშ გამოვიარე.

ნახ. მ. აბაურიძის







— წელიწადში ერთხელ, ახალ წელს, მაინც მოიტანე სახლში ჯამაგირი!  
— ყოველ წელს ახალი წელი არ გაშიშვია მე!

# „კატრიოტული“ სადღებრილო

**მეგობრებო!** როგორც ყოველ ხელს აქვს თავისი ფესვები, ფესვები, რომლითაც ის იკვებება მიწიდან, როგორც ყოველ წყაროს, ყოველ მდინარეს აქვს თავისი სათავე, როგორც ყოველ ფრინველს აქვს თავისი ბუდე, ბუდე, რომელშიც დაიბადა, წამოიჩიბა, ფრთები გაშალა და ჰაერში ლაღად გაინავარდა, ასევე ყოველ ადამიანს აქვს თავისი მიწა, მიწა, სადაც დაიბადა და ფეხი აიდგა. ამ მიწას ჰქვია სამშობლო. ყოველ ადამიანს, ვინც არ უნდა იყოს ეგი, ინგლისელი თუ ამერიკელი, ფრანგი თუ იაპონელი, ყველას უყვარს თავისი სამშობლო, მაგრამ ჩვენი სიყვარული სულ სხვაა. ჩვენი საქართველო ძალიან პატარაა. იმდენად პატარა, რომ ერთ ღღეში შეიძლება გადათარო აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ და ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ. მაგრამ განა სიდიდითაა საქმე?.. რა თქმა უნდა, არა! პატარაა, მაგრამ ტურფა ჩვენი საქართველო. განა არის კიდევ სადმე ისეთი ცადაზიდული, ყინულით დაფარული მიუდგომელი მწვერვალები და მცხუნვარე მზით დაფარული მოლივლივე ზღვა, როგორიც ჩვენშია?.. განა შეედრება მსოფლიოს რომელიმე ქალაქი ჩვენს თბილისს, რომელსაც ფრანგები პატარა პარიზს ეძახიან?.. რა თქმა უნდა, არა! ალბათ, ყველამ იცით ლეგენდა, ღმერთი რომ დედამიწაზე ადგილებს ანაწილებდა და ქართველმა რომ დააგვიანა, იმი-

ტომ რომ ქეიფობდა და ღმერთმა რომ თავისთვის შემონახული მიწა დაუთმო. და მე აღარ მოვყვები ბოლომდე ამ ამბავს.  
ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ ჩვენი სახელოვანი წინაპრები: დავით აღმაშენებელი, თამარ მეფე, გიორგი სააკაძე, რუსთაველი, ბაიათაშვილი და მრავალი სხვა, რომლებითაც გვიცნობენ ჩვენ. მაგრამ განა მარტო ამით გვიცნობენ ჩვენ? რა თქმა უნდა, არა! მთელ მსოფლიოშია განთქმული ქართული ცეკვები, სიმღერები, ციტრუსები, ჩიი და, რაც მთავარია, სახელგანთქმული ქართული ღვინოები და კონიაკები: გურჯაანი, ტიბაანი, წინანდალი, ჩხავერი, თეთრა, მუკუზანი, ოჯალეში, ხვანჭყარა, თელიანი, ახაშენი, სალხინო, ქინძმარაული, ნაფარეული, ცოლიკაური, მანავის მწვანე, ტვიში, ახმეტა, თბილისი, ვარძია, ვარციხე, ენისელი, საიუბილეო, კაესი, ოესი და მრავალი სხვა და, ამათ მერე, ჩვენი სახელოვანი ბორჯომი, რომელიც შეუღარებელია

პახმელიაზე და განთქმულია მთელ მსოფლიოში.

საქართველოში, თავის დროზე, იმ-გზაურა ცნობილმა ფრანგმა მწერალმა — დიუმას მამამ და მერე დაწერა წიგნი საქართველოზე, რომელშიც აღწერა, თუ როგორ გამოათვრეს ქართველებმა. სხვათა შორის, დიუმას მამა საფრანგეთში ერთ-ერთ ყველაზე მაგარ მსმელად ითვლებოდა, მაგრამ საქართველოში მარცნი განიცადა. არ არსებობს მსოფლიოში ერი, რომელსაც შეუძლია მეტოქეობა გაუწიოს სმაში ქართველებს!

უწინ, როცა კაცი რამეს დაწვინებდა, საქართველოში ასახლებდნენ. ახლა კი თითონ ჩამოდიან და უკან აღარ მიდიან. ამ მოკლედ, პატარაა, მაგრამ ტურფა ჩვენი საქართველო და, რაც კვლავ ვაღი, სულ ქართველები ვართ.

ჩვენ ვაღივებთ ვარა... ეს დამაბრკველანა, რომელსაც წარსულში, საუკუნეების მანძილზე, განუწყვეტლივ ჯიჯნიდნენ და აპარტახებდნენ პირისხლიანი და გაუმადარი მტრის ურდოები და რომელმაც გაუძლო ყველას და ყველაფერს და ჩვენამდე მოაღწია, ჩვენ ვაღივებული ვართ მოვუაროთ მას და იმე გადავცეთ ჩვენს შვილებს, შვილიშვილებს, შვილთაშვილების შვილებს, იმათ კი — თავის შვილებს, შვილიშვილებს, შვილთაშვილების შვილებს, როგორც ჩვენ გადმოგვცეს ჩვენმა მამებმა, პაპებმა, პაპის პაპებმა, რომელთაც თავის დროზე გადასცეს მათმა მამებმა, პაპებმა, პაპის მამებმა, მამის პაპებმა... და ა. შ. მე ახლა არ დავიწყებ აქ ბევრ ლაპარაკს! მთავარია, რომ ჩვენ უნდა გვიყვარდეს ჩვენი ტურფა საქართველო და ვგიყვებოდეთ მისთვის!

ამ ყანწით მე ვსვამ ჩვენი პატარა საქართველოს სადღებრივს!


გაუმარჯოს ჩვენს პატარა, მაგრამ ტურფა საქართველოს!

ამ დიდი ყანწით აააჰჰჰ... ასე მტერი დაგეცალოთ!..

ვინც ამ ყანწს ბოლომდე არ დაღვეს, ის პატრიოტი არ არის, არც ამ ოჯახში აქვს ადგილი, არც თავის ოჯახში და არც საქართველოში, იმას საქართველო არ უყვარს და, თუმცა მე არავის ძალას არ ვატან სმაში, მაგრამ ამჟამად კისერში ჩაგასხამ ამ ღვინოს!..


სიმონ ჯაფარიძე

ნახ. მ. აბაშიძისა





— კარები ჩავუკეტე და მაინც გაშეპარა.



— ვფიცავ, ნაპვი სინთეტიკურია!  
— ფიცი მუჟს, გოლო მაჟვირვებს!

# სახალისო რჩევა-დარღვივნა

ნაძვის ხე, როგორც წესი, იდგმება ახალი წლის წინა დღით. თუ ნამდვილ ნაძვს ვერ იშოვით, ან ვერ მოიპარავთ, შეიძინეთ პლასტიკის „ნაძვის ხე“, თუ ამასაც ვერ იშოვით, აიღეთ თხმელის მოზრდილი ხე, ჩქოლას რომ ეძახიან, დაასხებეთ თავისი ტოტები, გაუკეთეთ ნაძვის ხის ტოტები და ჩინებულ ნაძვის ხეს მიიღებთ! ამ დროს საჭიროა, მთელი სიზუსტით დაიცვათ ხანძარსაწინააღმდეგო წესები: ნაძვის ხე უნდა მოეწყოს შენობის მხოლოდ პირველ სართულზე (ვინც მეორე სართულზე ცხოვრობს, მისთვის ნაძვის ხის დადგმა სავალდებულო არ არის!). ოთახს, რომელშიც ნაძვის ხეს დადგამთ, უნდა ჰქონდეს ოთხი გასასვლელი (კარი!), რათა, მოსალოდნელი ხანძრის დროს, გაიქცეთ ოთხივე მხრით — აღმოსავლეთით, დასავლეთით, სამხრეთითა და ჩრდილოეთით. სამხრეთ-დასავლეთით და ა. შ. გაქცევა სავალდებულო არ არის!

ოჯახის უფროსმა მამაკაცმა წინასწარ უნდა მოიმარაგოს ხანძარსაწინააღმდეგო პირველადი იარაღები: სილა (ყუთით), ბარი (წითლად შეღებილი ტარით), წყალი (ვედროებით). თუ ასეთი რამ არ გაგაჩნიათ, სასურველია, სამეთვალყურეოდ გამოიძახოთ სახანძრო რაზმის ავტომანქანა, იდგეს ეზო-

ში, ყოველი შემთხვევისათვის (სიფრთხილეს თავი არ სტკივია!).

ნუ გამოიყენებთ ბენზინის, ნავთის, „სალიარკის“ ხსნარით გაუღვნილ ბამბას, ნურც ცელულოზის სამკაულებს (საერთოდ, სამკაულები ნაძვის ხეზე საჭირო არ არის! სასურველია, თუ სხვადასხვა მარკის ღვინოებსა და კონიაკებს ჩამოკიდებთ! ნუ გადააყრით თავზე თოვლის ბაბუას ბერთოლეს მარილს (უკეთესია, სუფრის მარილი). არ უნდა გამოიყენოთ მაგნიუმის ბენგალის ცეცხლი! არ უნდა ისროლოთ სახლში თოფი, ზარბაზანი, რაკეტა, დინამიტი...

ნაძვის ხესთან სასურველი არ არის ხალხის თავმოყრა!

ახალი წლის წინა ღამით ბავშვები უნდა დააწვინოთ არა უგვიანეს საღამოს 6 საათისა, ხოლო დილით გაადვიძოთ, მზრუნველად გადაუსვათ თავზე ხელი და უთხრათ: „შვილო, წუხელი ახალი წელი მოვიდა!“

აღნიშნული წესების დაცვით თქვენ უზრუნველყოფთ საახალწლო ზემის უსაფრთხო და ხალისიანად ჩატარებას!

რეჟო ოსუაიშვილი

**მთავარი რედაქტორის მოადგილე ზიგო ნიუნიაშვილი.**

სარედაქციო კოლეგია:  
**ზ. გოლჭავაძე** (პ/მზ. მღვიმანი),  
**ნოდარ დუმბაძე**  
**მთავარი რედაქტორი**  
**ს. კალდიაშვილი,**  
**ნ. მაღალაშვილი,**  
**ნ. შველიძე,**  
**ო. ზელიძე.**

საბირისა და იუმორის შურნალი „ნიანგი“.

თბილისი, რუსთაველი, პროსპექტი № 42.  
**Тбилиси, Сатирико-юмористический журнал «Нiangи».**  
 ტელ. რედაქტორის 99-76-69, რედ. მოადგილის 93-49-32.  
 საერთო განყოფილება 93-10-78.

სამ. კვ ცკ-ის გამომცემლობა. ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ.

გადამცემი ასაწომოად 24/XI-71 ჟ.  
 ხელმოწერილია დასაბეჭდად 20/XII-71 ჟ.  
 ძალადის ზომა 70x108 1/8.  
 ფორმატი ნახევარი ფურცელი 1,  
 საარტიფერმ-საგამომცემლო თაბახი 1,4.  
 სამ. კვ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

**ТИПОГРАФИЯ ИЗД-ВА ЦК КП ГРУЗИИ**  
**ТБИЛИСИ, УЛ. ЛЕНИНА № 14**  
 შპკ. № 4113.  
 ში № 02255  
 ტირაჟი 129.200.

## ტყეა თქვა

ტყემ თქვა: ბრიყვი კურდღელივით თავს ვაგდებდი ბედზედაო, ვლიდინებდი: მცველი მყავს და ვერვინ მოვა ჩემზედაო.

ვაგლახ, ერთხელ დავინახე კაცთა ჯგუფი სერზედაო, ნაჯახები აღემართათ დაგეშილებს ჩემზედაო.

მომესიენ, კვნესა ჩემი ქარს გაჰქონდა ველზედაო. ეცემოდნენ ძირს ხეები, მოკვეთილი ფესვზედაო.

ხენი ტრაქტორს გამოაბეს, ჩაატარეს ხევზედაო, შეშა გაყიდ-გამოყიდეს, ფულს იღებდნენ ხელზედაო.

გამძარცვეს და მწარე დალი დამაჩნიეს მკერდზედაო. ჩემი მცველი იქვე იჯდა, იცინოდა ჩემზედაო...

ხალხო, როგორ არ ვიტყვი მე უბედო ბედზედაო, როცა მცველი, მოლაღატე, მოამაგრეს ტყეზედაო?

ვწყევლი, ვინაც ამ „მცველს“ იცავს და ნადირობს ჩემზედაო. ნეტავ, ვინმეს ანადირა ამისთანა მცველზედაო.

ვასილ სინარულიძე

79-811  
საქართველოს  
განმანათლებლო  
ინსტიტუტი  
76137

11  
1971



ზ. ლაშვილი

საქართველოს საგარეო უწყების განყოფილება